საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 225-03
19/02/2024

2024 წელს ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (DELE) ჩაბარების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, გამოცდის თარიღის, საფასურისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგის თამარ ბესელიას 2024 წლის 15 თებერვლის N2555-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) 2024 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდეს სამჯერ და განისაზღვროს შესაბამისი თარიღები:

ა) ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) სასკოლო დონეებისათვის: A1, A2/ B1 ჩატარდეს 2024 წლის 17 მაისს, ხოლო დონეებისთვის: A1, A2, B1, B2, C1, C2 - 18 მაისს. ამ თარიღებისთვის ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 3 აპრილი (ორშაბათი - პარასკევი 11:00 – 17:00 სთ).
ბ) ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) სასკოლო დონეებისათვის A2, B1, B2, C1 ჩატარდეს 2024 წლის 12 ივლისს. ამ თარიღისთვის ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 15 მაისისა (ორშაბათი - პარასკევი 11:00 – 17:00 სთ).
გ) ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) სასკოლო დონეებისათვის A1, A2/ B1 ჩატარდეს 2024 წლის 22 ნოემბერს, ხოლო დონეებისთვის: A1, A2, B1, B2, C1, C2 - 23 ნოემბერს. ამ თარიღებისთვის ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 9 ოქტომბრისა (ორშაბათი - პარასკევი 11:00 – 17:00 სთ).
2. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველებმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის 32, ოთახი A 204 რეგისტრაციისათვის უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფურცელი და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) გამოცდაზე დარეგისტრირებისთვის საჭირო, გამოცდის დონის შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ს/კ 204861970
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 708997261
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი -TRESGE22
დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს: გამოცდებში მონაწილე პირის გვარი, სახელი და თანხის ჩარიცხვის დანიშნულება (DELE-ს გამოცდის საფასური).

3. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (DELE) საგამოცდო კომისიისა და კომისიის აპარატის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

საგამოცდო კომისია:

ა) თამარ ბესელია (უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგი);
ბ) ირინა ჭელიძე (უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგი);
გ) ია კარგარეთელი (უნივერსიტეტის ესპანური ენის პედაგოგი);

კომისიის აპარატი:

ა) ნინო ქარელი (მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საქმისწარმოების სპეციალისტი);
ბ) მაკა თაყაიშვილი (მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორი).

4. ესპანური ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდაში (DELE) მონაწილეობის მსურველთათვის გამოცდის საფასური განისაზღვროს შემდეგნაირად:

დონე A1	98 ლარი
დონე A2	103 ლარი
დონე B1	108 ლარი
დონე B2	145 ლარი
დონე C1	166 ლარი
დონე C2	176 ლარი

სასკოლო დონე

დონე A1	98 ლარი
დონე A2/ B1	108 ლარი

5. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრატორად განისაზღვროს ნინო ქარელი (მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საქმისწარმოების სპეციალისტი);

6. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი უნივერსიტეტის ესპანური ენის მასწავლებელს თამარ ბესელიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს - ნინო მატარაძეს;

7. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსება;

8. უნივერსიტეტის კანცელარიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი